სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/292

ქ. თბილისი 13 12 2019 წ.

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 ნოემბრის N1559 საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 დეკემბრის № 01-05-04/381 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2020 წლის პირველ იანვრამდე 3 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2019 წლის 23 იანვრის N01-09-10/11 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2019 წლის 08 ივლისის 20 ივლისის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 81 %-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;
4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
   - სამშენებლო ფაკულტეტი –99 სტუდენტი;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 89 სტუდენტი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 32 სტუდენტი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 42 სტუდენტი;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი –56 სტუდენტი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 32 სტუდენტი;
   - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 78 სტუდენტი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 125 სტუდენტი;
   - დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 2 სტუდენტი
   - აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 75 სტუდენტი;
   - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 81 სტუდენტი;
   - საინჟინრო ეკონომიკის,მედიატექნოლოგიის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი –50 სტუდენტი
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*